

თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების  
მემორანდუმი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და

ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგას“  
შორის

ქ. ახალციხე

20 08 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი - წარმომადგენელი უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგა“ - წარმომადგენელი ა(ა)იპ-ის თავმჯდომარის ბელა სონდულაშვილის სახით, გამობატავენ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სურვილს, რათა ხელი შეუწყონ ახალგაზრდების და შშმ პირების საარჩევნო უფლებების დაცვას აიპ „სოციალური დაცვის ლიგის“ მიერ განხორციელებული პროექტის „ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის საარჩევნო კულტურის განვითარებისა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით, საგანმანათლებლო დონისძიებებით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ახალგაზრდების ჩართულობით თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, „შშმ პირთა უფლებების კონვენცის“ 29-ე მუხლის მოთხოვნათა იმპლემენტაციის ფარგლებში, [www.pandusgeorgia.com](http://www.pandusgeorgia.com)-ის მეშვეობით სრულყოფის გზით“ აქტივობების ფარგლებში.

## მუხლი 1

ერთობლივი მიზანი:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ახალგაზრდებისა და შშმ პირების საარჩევნო უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ინფორმირებულობის გაზრდა მნიშვნელოვანია საქართველოს ყველა მოქალაქის საარჩევნო უფლებების გაუმჯობესებისათვის;
2. მეორიხელის ფარგლებში ხელმოქმედ მხარეებს შორის შესაძლებელია შემუშავდეს თანამშრომლობის მექანიზმი.

## მუხლი 2

ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგა“ იღებს ვასუხისმგებლობას:

1. უზრუნველყოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გარცელება საზოგადოებაში;
2. გამოავლინოს ახალგაზრდა და შშმ ამომრჩეველთა სამართლებრივი პრობლემები, აღმოუჩინოს მათ დახმარება შესაძლებლობების ფარგლებში, მისცეს განმარტებები, გადაამისამართოს ისინი ან მიიღოს მომსახურების გაწევის მიზნით.

## მუხლი 3

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იღებს ვასუხისმგებლობას:

1. ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგას“ მოთხოვნის თანავე, გადაუგზავნოს მათ ხელთ არსებული საჯარო სახის ინფორმაცია ახალგაზრდა და შშმ ამომრჩეველთა შესახებ, არსებული სიახლეების, ადგილობრივი პროგრამებისა და პროექტების თაობაზე;
2. კომპეტენციის ფარგლებში გამოხატოს მხარდაჭერა ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგის“ მიერ შემუშავებულ დასაბუთებულ ინიციატივებთან დაკავშირებით;
3. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგის“ ჩართულობა სფეროში მიმდინარე სხვადასხვა აქტივობებში.

მუხლი 4

დასკვნითი დებულებანი:

1. წინამდებარე მემორანდუმი არ გულისხმობს რაიმე სახელმძევრულებო ვალდებულებების სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგას“ შორის;
2. წინამდებარე მემორანდუმი შესაძლოა შეიცვალოს, ან განივრგოს ორივე ხელმომწერი მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე;
3. ხელმომწერი მხარეები მზადდონას გამოთქვამენ იქონიონ რეგულარული კავშირი ერთმანეთთან მემორანდუმში გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შესრულებისათვის და ამისთვის გამოყონ საკონტაქტო პირი.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ა(ა)იპ „სოციალური დაცვის ლიგა“

რექტორი

ბ.ა.



მერაბ ბერიძე

განგებობის თავმჯდომარე:

ბელა სინდულაშვილი

საკონტაქტო ტელ.: 599 06 3366

საკონტაქტო ტელ.: 591 001 011

ელ. ფოსტა: [rector@sjani.edu.ge](mailto:rector@sjani.edu.ge)

ელ. ფოსტა: [sdliga2009@gmail.com](mailto:sdliga2009@gmail.com)

